6625-3-9-3-201804251723

N 6625
25/04/2018

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა
კომიტეტის თავმჯდომარეს
ბატონ აკაკი ზოიძეს

ბატონო აკაკი,

2018 წლის 13 მარტს სადეპუტატო კითხვით მივმართე გარემოს დაცვის სააგენტოს საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოსთან არსებულ ეკოლოგიურ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რაზეც 17 აპრილს მეცნობა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე ტყვიისა და კადნიუმის კონცენტრაცია წყალში ნორმის ფარგლებში მერყეობს და არ აღემატება ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს. გარემოს დაცვის სააგენტომ ასევე განმარტა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე არ არსებობს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების კვლევები და მიგვითითა 2009 წლის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნაზე, რომლის შემდგომ ცხადია ტერიტორიაზე სიტუაცია მნიშვნელოვნად შეცვლილია.

ჩვენს მიერ მოპოვებულ დასკვნები აჩვენებს, რომ დმანისი-ბოლნისის მუნიციპალიტეტში არსებული ტყვიის განაწილება (Pb) ნიადაგში მნიშვნელოვნად აღემატება ზღვრულ ნორმებს და 71.82 – 97.56 მგ/კგ შორის მერყეობს. მეტიც, კვლევები აჩვენებს რომ კონცენტრაციამ ნიადაგში ზღვრულ დასაშვებ ნორმებს 2014 წლის შემდეგ გადააცილა, რაც მიუთითებს “RMG Gold”-ს საქმიანობის შედეგებზე. ასევე აღემატება ზღვრულ დასაშვებ ნორმებს სარდრისი-ყაჩაღიანის საბადოს მიმდებარე სოფლებში ნიადგაში კადმიუმის კონცენტარცია (Cd). კადმიუმის რაოდენობა ასევე აღემატება დასაშვებ ნორმებს მდინარის წყლებში.

ასევე საგანგაშოა ის ფაქტი, რომ ამ დრომდე “RMG Gold”-ს არ მიუმართავს გარემოს დაცვის სააგენტოსთვის ეგრედ წოდებული ციანიდის მოედნების გაფართოების პროექტის გარემოსდაცვითი გადაწყეტილების მიღების მიზნით, რაც მიუთითებს იმაზე, რომ კომპანია გაფართოებას გეგმავს ყოველგვარი გარემოსდაცვითი შეფასების გათვალისწინების გარეშე. ადგილობრივი მოსახლეობა აცხადებს, რომ გაფართოება მნიშვნელოვნად დაახლოებს ციანიდის მოადნებს მათ საცხოვრებელ და სასოფლო-სამეურნეო მიწებთან, რაც პირდაპირ საფრთხეს უქმნის მათ ჯანმრთელობას და სიცოცხელს.

მოგახსენებთ, რომ მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა აღნიშნულ სოფლებში საგანგაშოა. მნიშვნელოვნად იმატა ონკოლოკიურმა დაავადებებმა, რასაც ვერ უარყოფს ადგილობრივი სამედიცინო პერსონალიც. მოგესხენებათ, რომ

კადმიუმი აზიანებს ფილტვებს, თირკმელებს, ცენტრალურ ნერვულ სისტემას, გულ-სისხლ-ძარღვთა და ძვლოვან სისტემებს, ხელს უწყობს კიბოსა და სხვა მძმე დაავადებებს. ტყვია, გარდა ონკოლოგიური დაავადებებისა, იწვევს ზრდის შენელებას ბავშვებში ნერვულ და ნერვოლოგიურ პრობლემებს, აზიანებს თირკმელებს გულ-სისხლძარღვთა სისტემას და სხვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ თხოვნით პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის უახლოეს სხდომაზე მოიწვიოთ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი, რათა მივიღოთ პასუხები კითხვებზე რომელიც უკავშირდება კომპანია "RMG Gold"-ის საქმიანობასა და საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობას შორის შესაძლო კავშირზე. აქვე მოგახსენებთ, რომ „დმანისის გადარჩენის ფონდის" სახელით, რომელიც აერთიანებს თექვსმეტ პოლიტიკურ პარტიას და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცის, მივმართეთ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს მოცემულ ტერიტორიაზე ეპიდემიოლოგიური კვლევის ჩატარების მოთხოვნის თაობაზე. წინამდებარე ინფორმაციის გათვალისწინებით გთხოვთ, ასევე მიმართოთ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს და მოითხოვოთ მოსახლეობისთვის ეპიდემიოლოგიური კვლევის დაუყოვნებლივ ჩატარება, რადგან მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა საბადოსთან მიმდებარე სოფლებში უკიდურესად მძიმეა და ალბათობა შესაძლო კავშირის შესახებ მოსახლეობაში გავრცელებულ დაავადებებსა და "RMG Gold"-ის საქმიანობის შორის ძალიან მაღალია.

კითხვების შემთხვევაში, გთხოვთ დაუკავშირდეთ ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობის" აპარატს, რომელსაც შეუძლია გადმოგცეთ წინამდებარე წერილში მოყვანილი ინფორმაციის წყაროები და კვლევების შედეგები.

პატივისცემით,

თინათინ ბოკუჩავა